№5-6 (9900-01) ◆ მაისი-ივნისი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

26 მაისი

„ფიქრზე დასკიდებული ჩვენი საქართველო...“

26 მაისი - ეს ჩვენი დღეა!



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. უკვე 105-ე. დიახ, მართლაც რომ ჩვენია, რომელმაც განსაკუთრებულად ამაღელვებელ ვითარებაში ჩაიარა, ქვეყნის მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობით, სრულიად საქართველოში.

იმ 16 რეგიონს შორის, სადაც 26 მაისის მასშტაბური ღონისძიებები გაიმართა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი – ქალაქი ამბროლაურიც, საქართველოს დროშის ფერებში აფერადებული, მასპინძლობდა მოწვეულ სტუმრებს. დილიდანვე ხალხმრავალმა ქალაქმა „თავისუფლების სიყვარულით“ დატვირთული თემატიკა შესთავაზა საზოგადოებას, რომელთა შორის იმყოფებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **ილია ბეგიაშვილი**, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა ენუქიძე**, ადმინისტრაციისა და რეგიონში შემავალი ადგილობრივი (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) ხელმძღვანელი პირები.

მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ, სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, საქართველოს სათავგადასავლო ტურისტულ მარშუტებს, რუკებს, ფოტოებსა და აქტივობებს, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციას. მათ ამაღლებულ გუნება-განწყობას უქმნიდნენ ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მხატვრული თუ ქორეოგრაფიული ანსამბლები საგალობელი, იავნანა, თი-ემ-სი, ორბა, სალაღობო, რაშოვდა, მერდინი... და ინდივიდუალური შემსრულებლები საინტერესო, მრავალფეროვანი პროგრამებით დატვირთული კონცერტებით.

ახალგაზრდობის და განსაკუთრებულად ბავშვების ინტერესის სფერო იყო თავდაცვის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა.

17:10 საათზე (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დრო) შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

დასკვნით კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ზუკა ხუციშვილი და ბენდი,თიკა ჯამბურია და ჯგუფი „ელარჯი“.

26 მაისი – ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ქვეყნის იმ 10 ისტორიული ლოკაციათაგან ერთერთი ნიკორწმინდის ისტორიული ტაძარიც აღმოჩნდა, რომლის ეზოში წლევანდელებმა საზეიმოდ დადეს სამხედრო ფიცი და სამშობლოს ერთგულება აღუქვეს.

დიახ, „თავისუფლების სიყვარულით“ 26 მაისი ჩვენი დღეა. გილოცავთ!

პრიორიტეტი – საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა

მკითხველი ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ წინა წლების მსგავსად მიმდინარე წელსაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ფონდებითა თუ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მართალია, მაისის თვე ნალექიანი აღმოჩნდა და გარკვეულწილად შეაფერხა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მასიურად დაწყების პროცესები, მაგრამ დარიანი დღეების მაქსიმალური სარგებლობით შპს „ამბროლაურის ავტოგზა – 10“-ის გამოცდილი კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს ქალაქ ამბროლაურში მე-7 ქუჩისა და გურგენიძის ჩიხის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების წარმართვას.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სრული ღირებულება 215 444 ლარს შეადგენს.

ამავე ფონდის დაფინანსებით ძირაგეულსა და წესში გრძელდება სასოფლო და საუბნო გზების მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზედაც ძირაგეულში იხარჯება 595777 ლარი, ხოლო წესში 478927 ლარი. სამუშაოებს აქაც ახორციელებს შპს „ავტოგზა ამბროლაური – 10“.

ობიექტებზე მიმდინარე სამუშაო პოცესებს სისტემატიურად ეცნობიან და აკვირდებიან როგორც სამხარეო ისე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

ინფორმაცია

გაიმართა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მე-2 მოწვევის საკრებულოს მეორმოცე (რიგგარეშე) სხდომა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №08, №17, №18, №01, 2018 წლის №43, №15, 2023 წლის №04 დადგენილებებში და 2017 წლის №20, 2023 წლის №01, №02, №97 განკარგულებებში.

სხდომამ დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხა.

მოიწონა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვავის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების – სოფელ სხვავის გაყოფისა და ახალი დასახლებების – სოფლების: ზემო სხვავის, შუა სხვავისა და ქვემო სხვავის შექმნის თაობაზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 41-ე მორიგმა სხდომამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 01 იანვრიდან შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე რეაგირებისა და მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო გეგმის მიმდინარეობის და პირობით გასხვისებული ქონების მიზნობრივი გამოყენების საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ მერიაში 01 მაისამდე შემოსულმა განცხადება – მომართვის რაოდენობამ შეადგინა 2254. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით წარმოდგენილია 1571 განცხადება, ხოლო ელექტრონულადაა მიღებული 683 დოკუმენტი. მერიიდან გასულია 1629 დოკუმენტი. მათ შორის გაცემული ცნობაა 214, ხოლო ვალდებულების წერილი(საგარანტიო წერილი) 213.

სულ მერიაში შემოსულ განცხადება/წერილთან შესაბამის მოთხოვნაზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება და გაცემულია 1329 თანხმობის წერილი, 83 უარყოფითი და 208 ინფორმაციული/შუალედური პასუხი. მომზადდა 978 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-ბრძანება.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 42-ე რიგგარეშე სხდომამ განიხილა სოფელ ურავში მდებარე 25210 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის №1 და №2 სახელმწიფოზე უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი.

თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის №39-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე 70 კვადრატული მეტრი ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით სასყიდლიანი იჯარის ფორმით ა(ა)იპ „რაჭის ახალგაზრდული ანსამბლეისათვის“ გადაცემაზე.

სხდომამ ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის №97 განკარგულებაში.

დასაქმების ფორუმი – ამბროლაური 2023

ქ. ამბროლაურში ევროკავშირის მხარდაჭერით, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) და ფონდ „აფხაზინტერკონტის“ (AIC) ორგანიზებით პროექტის „ისწავლე დასაქმებისთვის“ ფარგლებში, გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელშიც. მონაწილეობას იღებდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, პროფესიული სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმართველობის წევრები, დამსაქმებლები, სამუშაოს მაძიებლები, ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტები და სხვა დაინტერესებული პირები.

ფორუმის მიზანი გახლდათ, ახალგაზრდების, იძულებით გადაადგილებული, სამუშაო გამოცდილების არმქონე, ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში დაუსაქმებელი პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ფორუმზე დასაქმებისა და სტაჟირებისათვის 20-მა მცირე, საშუალო და მსხვილმა კომპანიამ წარმოადგინა 45-მდე ვაკანსია. 150-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მონაწილეობა ღონისძიებაში .მათ ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ პოტენციურ დამსაქმებელებს, გასაუბრებოდნენ სასურველი ვაკანსიის შესახებ და წარმოეჩინათ საკუთარი უნარები პირდაპირი კომუნიკაციის გზით.

პროექტს „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!)“ ერთობლივად ახორციელებენ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC), თელავის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (TEDEC), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო (EAARA), ფონდ „აფხაზინტერკონტი“ (AIC) და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი (GYRC).

* * *

დასაქმების ფორუმის გაგრძელება იყო, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC), ფონდ აფხაზინტერკონტისა (AIC) და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ამბროლაურის მეორე საჯარო სკოლაში გამართული მოსახლეობის ფორუმი, რომელიც 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების განხილვასა და დაგეგმვას მიეძღვნა.

მოსახლეობის ფორუმს წინ უძღვოდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა მომზადება საორგანიზაციო და ფასილიტაციის ტექნიკებში. ღონისძიების მსვლელობაში 100-ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი მონაწილეობდა. ძირითადი სამუშაო მიმართულებებს წარმოადგენდა: ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარება, სოციალური და ჯანდაცვა, განათლება, სპორტი, ახალგაზრდობა, გარემოს დაცვა. ფორუმის მონაწილეებმა შეაფასეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროგრამები და წარადგინეს ცვლილებებთან დაკავშირებით წინადადებები, რომლებსაც განიხილავს საორგანიზაციო კომიტეტი. შესაბამისად მომზადდება რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

ფორუმი ორგანიზებული იყო პროექტის: „მოქალაქეთა გაძლიერება ადგილობრივ მმართველობაში მდგრადი განვითარების მიზნით“ ფარგლებში, რომელსაც განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული სამსახურების წარმომადგენლებთან გამართულ მორიგ თათბირზე სხვადასხვა მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე იმსჯელეს, რომლებიც მოითხოვს შესაბამისი სამსახურების აქტიურ ჩართულობას. ძირითადი ყურადღება დაეთმო ქალაქის იერ-სახის მოწერიგებას, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების დასუფთავებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით მიმდინარე სამუშაოებს, ზაფხულის სეზონისთვის განსახორციელებელ აქტივობებს და ამ დროისთვის არსებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

თათბირზე, სამსახურების უფროსებმა, გასულ პერიოდში შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაციები წარმოადგინეს. აგრეთვე ისაუბრეს იმ ინიციატივებზე, რომლებიც კონკრეტული სფეროების მიხედვით უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

9 მაისი

ქვეყნის მასშტაბით 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 78 წლისთავი აღინიშნა. ამბროლაურის რაიონიდან 7 ათასზე მეტი წარგზავნილიდან ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა შინ. საბედნიეროდ მათი სახეები და გმირული ქმედებები შემოგვინახა შინმოუსვლელთა ობელისკებმა, გაზეთებმა და ოჯახურმა არქივებმა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მსოფლიო ომის მონაწილენი აღარ გვყავს, მაგრამ შთამომავლებთან ერთად ვალდებულება გვაქვს მომავალ თაობებს არ დავავიწყოთ მათი სახელები და ვასწავლოთ სოფლებში შემორჩენილი მათი ხსოვნის პატივსაგებად აგებული ობელისკ-მემორიალების – პატრონობა.

9 მაისს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** და მერის პირველმა მოადგილე **დავით გოგლიძემ** ყვავილებით შეამკეს სოფელ წესში და ამით პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის გმირებს.

ბოლო ზარი

19 მაისს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მეთორმეტე კლასელებისათვის „ბოლო ზარი“ კი დაირეკა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სკოლის კედლებში გატარებული წლების მოგონებებში განსაკუთრებული ადგილი დაეჭირა სკოლის „ბოლოზარსაც“. განსხვავებული, საოცრად ბრჭყვიალა, ამაღელვებელი, ემოციებითა და საინტერესო ღონისძიებებით დატვირთული იყო პედაგოგებისა და უკვე ყოფილი მოსწავლეების დალოცვა-დამშვიდობება.

ცხოვრების ახალი, საინტერესო და თავგადასავლებით სავსე ეტაპის დაწყება სოციალური ქსელით მიულოცეს სკოლის კურსდამთავრებულებს მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მერმა **ზვიად მხეიძემ** და გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ მათი სახით ქვეყანა მიიღებს ღირსეულ მამულიშვილებს, რომ გაკეთებული სწორი არჩევანით, სასურველი პროფესიით და ზოგადად მიღებული ცოდნით თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის, კუთხის უკეთესი მომავლის შენების საქმეში.

საზეიმო ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მშობლებთან ერთად საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ. მაგალითად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის №1 და №2 საჯარო სკოლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** ესწრებოდნენ. მათ მე-12 კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს, იმ ამაგისა და დაუღალავი შრომისთვის, რომელსაც თითოეული ახალგაზრდის მიმართ იჩენენ წლების მანძილზე.

ქრონიკა

რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფი რწმუნებულის პაპუნა მარგველიძის მოადგილედ დაინიშნა **ალუდა თუთისანი**. იგი 2021 წლიდან იყო ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ხოლო 2022 წლის 28 ნოემბრიდან 2023 წლის 19 მაისამდე ოფიციალურად ასრულებდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას.

ალუდა თუთისანი პროფესიით ისტორიკოსია. დაამთავრა იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი და მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ დაინიშნა **თამარ ქევანაშვილი**. დაიბადა 1991 წელს. ქ. ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2013 წელს, ხოლო 2017 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ქვეყანაში აღინიშნა პოლიციელის დღე. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **ქრისტინა კობახიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძემ** და მერის პირველმა მოადგილემ **დავით გოგლიძემ** ამბროლაურის რაიონული სამმართველოს და საგანგებო სიტუაციების მართვის თანამშრომლებს პროფესიული დღე სიმბოლური საჩუქრებით მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

გილოცავთ!

ჩვენ გვწერენ

ვინ როგორ და რანაირადაა მოხვედრილი სოციალურად დაუცველთა ბაზაში ეს სერიოზულად სამსჯელო თემაა, რომელიც შესაბამისი სამსახურების შესასწავლ-გადასაწყვეტია, მაგრამ შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამით ერთი კარგი საქმე რომ გაკეთდა, ფაქტია.

მუნიციპალიტეტის სოფლებში სასაფლაოების უმრავლესობა მოწესრიგდა. მომვლელის ხელი დაეტყო. ამ ფოტოზე, რომელიც რიგითმა მკითხველმა მოგვაწოდა, აღბეჭდილია ის მომენტი, როცა სოფელ ქედისუბანში გია კენჭაძე და ლაშა ქოქოსაძე თოვლისგან დამტვრეული, მოთხრილი ხეებისა და ეკალბარდებისაგან ასუფთავებენ ე.წ. „ნაძვების სასაფლაოს“. ფოტოს ავტორმა ისიც გვითხრა, რომ აღნიშნული პირები თავიანთი ოჯახებით, განსაკუთრებით პატარებით ყოველთვის სოფლის იმედად ითვლებიან, მაგრამ დასაქმებით პასუხისმგებლობაც მეტი იგრძვნეს, სტიმულიც მიეცათ და არც მეორე, გაგოშიძეების უბანში, მთავარანგელოზის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაო დარჩებათ მიუხედავიო.

რა თქმა უნდა, კარგია და მისასალმებელი, რომ მათ მსგავსად აღდგომისა და მიცვალებულთა მოხსენიების დღეს წესის, ჭრებალოს, ბუგეულის, ჯვარისის და მთელ რიგ სოფლებში საფლავებზე გასულმა შთამომავლებმა მოვლილი საფლავები იხილეს, მაგრამ რედაქციაში ის ინფორმაციაცაა შემოსული, რომ ბევრგან ისევ მიუხედავია სასაფლაოები, არადა მერის წარმომადგენელთა უმრავლესობის განცხადებით საკითხი თითქმის მოგვარებულია.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საინტერესო აქტივობებით აღინიშნა. სკოლამდელმა დაწესებულებებმა დასამახსოვრებელი საზეიმო გაცილება მოუწყვეს იმ 96 აღსაზრდელს, რომლებიც სექტემბერში სკოლის კარებს შეაღებენ.

ქალაქის საბავშვო ბაღში გამართულ ღონისძიებას სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. მათ მილოცვასთან ერთად კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბავშვების – მომავალი თაობის განვითარების ხელშეწყობა და უსაფრთხო გარემოს შექმნა პრიორიტეტია, რის დადასტურებაა ის, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ორი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ძლიერი სოფელი - ძლიერი ფერმერი

ამბროლაურის რაიონში არ არსებობდა სოფელი, რომელსაც თავისი საარსებო სახსარი არ ჰქონდა. მართალია, ბარისათვის ძირითადი კი იყო მევენახეობა, მაგრამ მთის სოფლებთან ერთად სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებიც იყო განვითარებული, როგორებიცაა მეცხოველეობა, მემინდვრეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 40–50 წლებში რაჭის ჯანსაღ სხეულზე მომძლავრებულმა ჭრილობამ – მიგრაციამ ბევრ ბუდესთან ერთად აღნიშნული მასაზრდოებელი დარგებიც მოშალა. მიწათმოქმედთა შემცირებით სოფელი ქალაქს კი არ დაუახლოვდა არამედ დაშორდა. არა და ქალაქს ყოველთვის სოფელი კვებავდა.

საბედნიეროდ, ამას გაქალაქებული თანაკუთხელების უმრავლესობა მიხვდა და წლობით მიტოვებული მამაპაპისეული მიწის ნაკვეთების მოძიება – მოპატრონება დაიწყეს. მუნიციპალიტეტში რამდენიმე ოჯახის მუდმივ მაცხოვრებლად შემობრუნებამ ის ნაპერწკალი გააჩინა, რომ გათითოკაცებულ სოფლებში იმედის „წყაროს თვალები“ გამოჩნდნენ (ასე ეძახიან მათ თანასოფლელები) და ამით მაგალითს აძლევენ სხვებს, იმისას, რომ შრომა სათაკილო არაა, რომ სოფლიდან დანახული სამყარო გაცილებით უკეთესია. ყოველ შემთხვევაში ასე თვლიან მებაღე **ლევან პეტრიაშვილი**, მევენახე **ზაქრო ჩიხრაძე,** მეღვინე **მარიამ მარგველიძე** და მეფუტკრე **ლაშა გაგოშიძე**, რომელთაც რუბრიკით „ძლიერი სოფელი – ძლიერი ფერმერი“ სოფლის მეურნეობის რეგიონული სააგენტოს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დღეს გავაცნობთ მკითხველს.

ქლიავის ბაღი „სტენლი“- ჯირკველი მცდელობა რაჭაში

ზღვის დონიდან 1180 მეტრ სიმაღლეზე, მუნიციპალიტეტის ცენტრს 18 კილომეტრით დაშორებით, ხოტევი-ზნაკურას წყალგამყოფ ქედზე შეფენილი ერთ დროს ხალხმრავალი სოფელი კაჩაეთი ყოველთვის იყო რაიონის სხვა სოფლებისაგან გამორჩეული მრავალწლიანი თესლოვან-კურკოვანი ხილის სპეციფიკური გემოთი. აქაურები განსაკუთრებულად თავს მაინც ადგილობრივი შავი ქლივის ჯიშით „სტენლი“ იწონებდნენ თავს, რადგან რბილობის სიმკვრივე და არომატული წვენი მას სხვა რაჭული ქლიავის ჯიშებისაგან მართლაც განასხვავებს.

ამიტომაც შეაჩერა მასზე არჩევანი, მამა-პაპისეულ ფუძეზე მობრუნებულმა, ლევან პეტრიაშვილმა. წინაპრებისაგან, სოფლის უფროსი თაობისაგან მას საკმაო ინფორმაცია კი ჰქონდა მიღებული, მაგრამ კონსულტაცია მაინც მიიღო სპეციალისტებისაგან, ჩაერთო სახელმწიფო პროგრამებში და როგორც სოფლის მეურნეობის სააგენტოს სამხარეო სამსახურში გვითხრეს დღეს ფერმერ **ლევან პეტრიაშვილის**, ჯერჯერობით 3 ჰექტარზე გაშენებული, შავი ქლიავის „სტენლის“ ბაღი პირველი მცდელობაა რაჭაში მეხილეობის დარგის აღორძინების საქმეში.

2014 წელს მან საკუთარი ნაკვეთის მეზობლად მდებარე მიწის ფართობი აიღო ოჯარით, აგროვადების და ნიადაგის სტრუქტურის შესწავლა-მომზადების შემდეგ გააშენა ბაღი და 2022 წელს პირველი მოსავალი – 4 ტონა ქლიავი მიიღო, რომლის რეალიზება ადგილობრივ ბაზარზე არ გაჭირვებია. სამწუხაროდ იყო დანაკარგი მუშახელის სიმცირის გამო.

2021 წელს ყინვამაც დაუზიანა ნარგავები, მაგრამ რაჭული სიმშვიდით უმკლავდება სიძნელეებს, გამოცდილებასაც იძენს და ცოდნასაც შეზავებული პრაქტიკით. სამომავლო გეგმების მონახაზიც მზად აქვს.

ესაა კვლავ იჯარით 4,5 ჰექტარით ფართობის გაზრდა, ტერასულად ვაშლის ჯიშებით ბაღის გაშენება და ჩირის წარმოების დაწყება. დიახ, ეს სამომავლო გეგმაა. მოლოდინით დამაიმედებელი თანასოფლელებისთვისაც, რადგანაც გათითოკაცებულ სოფელში ოჯახის დამკვიდრებაც გასახარია და ისიც, რომ თუ მუდმივად არა სეზონურად ხომ მაინც დასაქმდებიან ადამიანები.

იმედია, თანადგომა და მხარდაჭერა ფერმერ ლევან პეტრიაშვილს ექნება ყველა იმ უწყებისაგან, ვისაც ხელეწიფება სოფლის მეურნეობის ამ უძველესი დარგის – მეხილეობის აღდგენა-განვითარება და არ ვათქმევინებთ ამ კაცს ნეტავ არ დავბრუნებულიყავი მშობლიურ სოფელშიო.

ნლის საუკეთესო ფერმერი ქალი

ეს **მარიამ მარგველიძეა**. პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელსაც შეეძლო თავისი განათლებით ნებისმიერ წამყვან თანამდებობაზე ემუშავა, მაგრამ წინაპართა წინაშე ვალდებულებად მიიჩნია საოჯახო ბიზნესის გაძღოლა და წარმატებებსაც აღწევს.

საოჯახო ბიზნესი კი ტრადიციული წესით ღვინო „ხვანჭკარის“ წარმოებაა. საუკუნის წინად მოყოლებული პურმარილიან და სტუმარ-მასპინძლობით ცნობილ ოჯახზე დანათლული სახელი „მარგველიძეების მარანი“ უცვლელად დატოვა, მხოლოდ 2017 წელს ტრადიციულ ჭურმარანს და დამახასიათებელი არქიტექტურის მქონე ძველ სახლს გენდჰაუსის ტიპის სასტუმრო შემატა და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებშიც აქტიურად ჩაერთო. „აწარმოე საქართველოში, „ფერმერთა ასოციაციასა“ და „FAO“-ში წარდგენილი ბიზნეს პროექტებით გამარჯვებულმა თანამედროვე აღჭურვილობაც შეიძინა და 2019 წლიდან ბოთლში ჩამოსხმული ხვანჭკარის წარმოებაც დაიწყო.

თავად განსაჯეთ, ტრადიციულისა და თანამედროვე ტექნოლოგიის შერწყმა, პლიუს ეთნოგრაფია, ეკოლოგიური გარემო, რაჭული სამზარეულო არ იქნება მიმზიდველი ვიზიტორებისთვის? არის კიდეც და ამიტომაც სადმელში „მარგველიძეების მარანს“ არ აკლია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმარი.

მარიამი კვლავ ძიებაშია. მჭიდრო კონტაქტშია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალურ სამსახურთან. ეცნობა ახალ პროგრამებს, იღებს კონსულტაციებს, კომუნიკაბელურია კოლეგებთან, ენერგიული, შრომისმოყვარე, ნოვატორული წინადადებების ავტორი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ის 2022 წლის საუკეთესო ფერმერ ქალად იქნა დასახელებული. ვულოცავთ.

რაჭული თაფლის გემო

ქართული თაფლი ორგანულ ბაზარზე

ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის მხარდაჭერით, საქართველოს მაღალმთიან რეგიონში თაფლის წარმოება იზრდება. ქართული თაფლი საერთაშორისო ორგანულ ბაზარზე დამკვიდრებისთვის ემზადება.

მეფუტკრეობა რომ უძველესი და საკმაოდ შემოსავლიანი დარგია არავის ესწავლება. საკმაოდ ბევრი ოჯახი მისდევს კიდეც მეფუტკრეობას მუნიციპალიტეტში. მაგრამ საოჯახო ბიზნესისა და დარგის განვითარება-აღორძინების პიონერად მაინც ლაშა გაგოშიძეს მიიჩნევენ.

გაგოშიძეების ოჯახს ფუტკარი ყოველთვის ჰყავდათ, მაგრამ საოჯახო ბიზნესის წამოწყება-გაფართოების იდეა, მაინც ნაკარნახევი იყო დარგის პოპულარიზაციის მიზნითა და რაჭული თაფლის ქვეყნის გარეთ გატანის სურვილით. ლაშა აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სახელმწიფოს შემოთავაზებულ პროგრამებში. თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ. 2014 წელს მათთან ერთად საინიციატივო ჯგუფის სახელით არასამთავრობო ორგანიზაცია PIN (ადამიანი გაჭირვებაში) სგრანტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მოპოვებული გრანტით ააშენა ფუტკრის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამით მოპოვებული გრანტით კი შეიძინა გადამამუშავებელი დანადგარები. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში აღებული სესხით შენობა მოიყვანა სტანდარტების შესაბამისობაში, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით შეიძინა მოტობლოკებიც.

ჩანაფიქრისა და შრომის თანხვედრით შედეგიც მიღწეულია. დღეს ლაშა გაგოშიძე რაჭის მეფუტკრეობის ასოციაციის პრეზიდენტი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „რაჭის ნატურალური პროდუქტების“ თავმჯდომარეა. 300 ძირი სკიდან წელიწადში 10 ტონაზე მეტ თაფლს აწარმოებს და პროდუქტი ექსპორტზეც გააქვს. ნორვეგია, გერმანია, იტალია, ბულგარეთი, დუბაი. ეს ის ქვეყნებია, სადაც უკვე კარგად იციან რაჭული თაფლის გემო, ენდობიან მომწოდებელს და შესაბამისად მოთხოვნაც იზრდება. სასურველი შედეგი დიდი ძალისხმევით და შრომითაა მიღწეული. მუდმივად დასაქმებულ ოთხ ადამიანსაც და სეზონზე მოწვეულთაც გაუჩინა შემოსავალი.

აგრარული დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის კოოპერატივს მიღებული აქვს სპეციალური მედლები და ჯილდოები.

ბუნებასთან თანაცხოვრებით

ზაქარია ჩიხრაძე პროფესიით მეტყევეა და კარგად იცის, რომ ბუნება მარტო მარჩენალი კი არ არის, არამედ მოვლაც სჭირდება. ამიტომ თავისი პირადი საქმიანობით შინ თუ გარეთ ბუნებასთან თანაცხოვრების მაგალითსაც იძლევა და იმისაც, რომ უშრომლად არაფერი არ მოდის. სანიმუშოდ მოვლილ 2 ჰექტარი ვენახიდან ყოველწლიურად 10 ტონა ყურძენს იღებს. ვენახის 80% ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ვაზის ჯიშებს უჭირავთ. დანაჩენი ცოლიკაურს, გორულ მწვანეს და რაჭულ თეთრას. აწარმოებს როგორც საოჯახო მარნის, ისე ჩამოსასხმელ ღვინოსაც. რეალიზაცია არ უჭირს. შიდა ბაზრის გარდა პროდუქცია გააქვს ექსპორტზეც რუსეთში.

მეურნე, გამრჯე რაჭველი კაცის ნიმუშია ზაქრო იმითაც, რომ ვენახთან ერთად, რომელიც აგროვადების დაცვით მოითხოვს ვაზის მოვლის ყველა ოპერაციის მკაცრად დაცვას, ახერხებს მოუაროს 30 ძირ ფუტკრის ოჯახს, აწარმოოს 600 კგ თაფლი წელიწადში და რეალიზაციასთან ერთად, როგორც სჩვევია სტუმართმოყვარე ადამიანს გულუხვად მოუკითხოს სანათესაოს და სამეგობროს არა მარტო თაფლი, არამედ სანთელი, დინდგელი.

ამბროლაურის ჟურნალისტიკის 90 წლისთავზე


ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲬᲘᲜᲐᲦᲓᲔᲑᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
№ 39 (462)
ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ
1987 წ.
№ 151 (9 007)
ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ
ᲨᲔᲛᲬᲧᲐᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

თუ ვინმე დაინტერესდება (არადა უნდა ინტერესდებოდნენ) აღმოაჩენს, რომ გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“ თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში გამორჩეულია არა ფორმატით, ტირაჟით და ვიზუალით, არამედ სიჭარმაგით.

გაზეთი 90 წლის გახდა.

დაიბადა 1933 წლის მაისში, ლოზუნგების ქვეყანაში ამბროლაურის რაიონის ჟამთააღმწერად „კომუნარის“ სახელით. ფუნქცია არ შეუცვლია მაშინაც, როცა 1960 წელს „კომუნიზმის დროშად“ მოინათლა. შეიცვალა მხოლოდ თემატიკით, ვიზუალით, მაგრამ იმ პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად რასაც მისგან მაშინდელი დრო მოითხოვდა. თუმცა მკაცრი ცენზურის მიუხედავად სტრიქონებს შორის მაინც ვაპარებდით ფორმაციის შეცვლის გარდაუვალობაზე თანადგომის აზრს. ქვეყანაში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის ფონზე გაზეთის სათაური აღარ პასუხობდა დღის მოთხოვნებს. ამიტომ 1990 წელს ხელახლა მოინათლა და დაირქვა „ამბროლაურის მოამბე“.

შევახსენებთ მკითხველს, რომ იმ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ენთუზიაზმით მუშაობა ვერც ერთმა რაიონულმა გაზეთმა ვერ შეძლო და დაიხურა. „ამბროლაურის მოამბე“ კი რაჭის ცნობილი მიწისძვრის შემდეგაც შენობის, დაფინანსების და სტამბის გარეშე დარჩენილი ღია ცის ქვეშ, ამბროლაურის ბაღში გაშლილ კარავში, აგრძელებდა სიცოცხლეს და იბეჭდებოდა ხან ტყიბულში და ხანაც ონში. რაშიც უდავოდ დიდია მაშინდელი თანამშრომლებისა და იქედან მოყოლებული როგორც ადგილობრივი, ისე სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელების წვლილი, რომლებიც სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც მხარს უჭერდნენ გაზეთის არსებობას, რომელსაც სხვა რაიონული გაზეთებისგან განსხვავებით ათვლა 1 ნომრიდან არ დაუწყია. მადლობა ღმერთს, რომ დღესაც ანგარშს უწევენ გაზეთს. იციან მისი მნიშვნელობა-დანიშნულება. მითუმეტეს, რომ მოსახლეობამდე (განსაკუთრებით მთის სოფლებში) ინფორმაციის მიწოდების ის ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც ადგილობრივი მედია ჰქვია და რომელიც ზოგიერთთა გასაკვირად, მკითხველის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. ამიტომაა, რომ ყოველწლიურად მაისის თვეში მილოცვებთან ერთად სამადლობელ სტრიქონებსაც ბლომად ვიღებთ.

ცხადია, გამონაკლისი არც წლევანდელი ყოფილა. მადლობა ყველას, ვისაც გავახსენდით, გამორჩეულად მაინც ისრაელში მოღვაწე ქართულენოვანი გაზეთების წარმომადგენლებს, რომლებთან ურთიერთობა მარტო მოლოცვა-მოკითხვით არ შემოიფარგლება. ყველას, ყველას ხელმძღვანელს თუ რიგითს, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი გაზეთის სიცოცხლის გახანგრძლივებაში. აქაც განვმეორდებით და გამორჩეულად მაინც დავით გაგოშიძეს, რომლის გამგებლად მუშაობის დროს მისმა პრინციპულმა პოზიციამ გადაარჩინა გაზეთი, რომელიც დღეს 90 წლისაა და კვლავინდებურად მოთხოვნადია. განსაკუთრებით დიდი მადლობა მოსახელობის იმ ფენას, რომლებისთვისაც გაზეთი და წიგნი სულიერი საზრდოა და რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახელობის უმრავლესობას წარმოადგენენ.

ვიმედოვნებთ „ამბროლაურის მოამბე“ კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

21-ე საუკუნეში, ამ ციფრულ ეპოქაში, ბევრი რამ გაიოლდა, გამარტივდა. შესაბამისად, ადგილობრივ მედიაშიც. რედაქციაში ადრე თუ 30-ზე მეტი შტატიანი ადამიანი, სტამბის თანამშრომელ-პოლიგრაფისტებთან ერთად, დღედაღამ, 24 საათიან რეჟიმში (გადაჭარბებული ნათქვამი ნამდვილად არ არის) მუშაობდნენ, დღეს 3 კაციანი კოლექტივი უმკლავდება ისევ შრომატევად საქმიანობას – გაზეთის გამოშვებას. თუმცა იმ განსხვავებით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე გაზეთი გამოდიოდა კვირაში 3-ჯერ 7 ათასზე მეტი ტირაჟით და ვრცელდებოდა ქვეყნის მასშტაბით, მის ფარგლებს გარეთაც. ახლა მისი პერიოდულობა განისაზღვრება თვეში 1-ჯერ 500 ტირაჟით. მაშინ ფეხით თუ მანქანით, შტატიანი თუ შტატგარეშე კორესპოდენტები მთასა თუ ბარში, საწარმოებსა თუ ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, საძოვრებზე, სათიბებში, ბაღებსა თუ ვენახებში... უშუალოდ ადგილზე ხვდებოდნენ იმ ადამიანებს, შრომით კოლექტივებს, რომლებიც ქმნიდნენ რაიონისა და ხშირად რეგიონის ისტორიას. ზღვა ფოტო თუ წერილობითი მასალა შემოდიოდა და შემოგვქონდა რედაქციაში. რაიონში, სადაც უამრავი სამშენებლო, სამრეწველო, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის კერები ფუნქციონირებდა და 7600- ზე მეტი ადამიანი სამსახურში იყო დაკავებული, საგაზეთო მასალა შემოგვაკლდებოდა? რა თქმა უნდა, არა. ამიტომაც თემატური გვერდები და რუბრიკები: ნუ დამანახებ ცეცხლჩამქრალ კერას, აქ ემღებება გულს, ციხევ ნაგებო კირითა, დაბრუნება, ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი, ჩვენი ისტორია, რაჩა ახლოა რაჭასთან, რაჭა იშუშებს ჭრილობებს, მებრძოლი გუშაგი, ამირანი და სხვა დიდი მოწონებით სარგებლობდა მკითხველში. ჟანრობრივად დატვირთული მრავალფეროვანი რეპორტაჟები, ნარკვევები, დიალოგი მრგვალ მაგიდასთან, სპორტული, სატირულ-იუმორისტული სტატიები, ხელოვნებისა და ლიტერატურის კუთხეები, გაცვლითი გვერდები ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, საჩხერის, ლაჩალის თუ გორისას (აზერბაიჯანი, სომხეთი) რაიონულ გაზეთებთან და უამრავი სხვა გამოგვარჩევდა ტყუპისცალივით მსგავს სხვა რაიონულ გაზეთებისგან. რისთვისაც ხშირად ვიყავით ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებულნი, აღიარებულნი, და წახალისებულნიც.

დღეს „ამბროლაურის მოამბე“ ძირითადათ იფარგლება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების აღწერით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვხვდებით, არ ვუსმენთ, მხარში არ ვუდგევართ, შესაძლებლობის ფარგლებში რიგით ადამიანებს. ცენტრალურ თუ საკუთარ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხშირად ჰყავს ჩვენ გაზეთს წამკითხველ-მომკითხავი. 300-მდე ხელისმომწერიც იძლევა სტიმულსაც და იმის იმედსაც, რომ 90 წლის გაზეთი, რომელთან თანამშრომლობას პატივად მიიჩნევდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები როგორებიც იყვნენ: აკაკი გეწაძე, რევაზ ჯაფარიძე, ბაჩანა ბრეგვაძე, მურმან ლებანიძე, სიმონ სხირტლაძე, ნარგიზა მგელაძე, რევაზ დვალიშვილი, სავლე წერეთელი, სერგი ავალიანი, ლევან ფრუიძე, გურამ ფანჯიკიძე, ქიშვარდი ისაკაძე, რევაზ მიშველაძე, იოსებ ზებელი, იოშკა ბელადიჩი (სლოვაკეთი), ელგუჯა ქვათაძე, დანიელ ხახიაშვილი, დავით ჯოხაძე, კახა ნემსწვერიძე, რამინ და შუქრი ჭელიძეები... კიდევ დიდხანს იქნება სიცოცხლისუნარიანი და მუნიციპალიტეტის ჟამთა აღმწერი. ოღონდ არავითარ შემთხვევაში ყვითელი პრესის ელემენტებით.

რომანტიზმით ალჰურ საძოვრებზე

წლების წინ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა ამბროლაურის რაიონში. მაშინდელ მეცხოველეებს უამრავ სიძნელეებთან უხდებოდათ გამკლავება, განსაკუთრებით ალპურ საძოვრებზე. ხშირად ვსტუმრობდით მათ წყალმაჭარას, შუაგორას, ყელისის, საცილოსა თუ სხვა საზაფხულო იალაღებზე.

სამსახურეობრივ მოვალეობასთან ერთად ჩვენთვის მათთან სტუმრობა რომანტიკულიც იყო. გოლიათი მთების იდუმალებასთან შერწყმული კეთილი მწყემსების უღალატო შრომის ფონზე, ამ იდუმალებაში საოცარი მოსასმენი იყო, სახელდახელო საძმო სუფრასთან, მწყემსების გადაძახილი, ძაღლების ყეფა, პირუტყვის ბღავილი...

რედაქციის არქივს შემორჩენილ 1980 წელს გადაღებულ ამ ფოტოზე აღბეჭდილი არიან ჭუთხაროსა და სამერცხლიას ალპურ საძოვარზე სადმელელ მეცხოველეებთან სტუმრობისას რედაქტორის მოადგილე დალი დარახველიძე, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ეთერ მაისაშვილი, შტატგარეშე კორესპოდენტი ნანა კვახაძე და მძღოლი გოჩა ტოგონიძე.

დღეს აღნიშნული მთების ძირში განთავსებული მეცხოველეთა ფარდულების ნაშთები აღარაა, მაგრამ რამდენადაც ვიცით, უფრო კარგი რამ არის დაგეგმილი და ეს ძალზე გვახარებს.

„სად მიდიან მახოლოა სიცოცხის მეუამრეები...“

ზურა შოშიაშვილის ეს სიტყვები მართლა თანმდევია იმ ხშირი მოგონებებისა, როცა რედაქციისა და სტამბის ათეული წლების მანძილზე თანამშრომელთა ურთიერთობებს ვიხსენებთ. მითუმეტეს ამ დღეებში, როცა გაზეთი 90 წლის გახდა და უამრავთაგან თითზე ჩამოსთვლელიღა რომ დავრჩით. არადა რა დიდებული, პროფესიონალი, განათლებული ადამიანები ქმნიდნენ არა მარტო ამბროლაურის რაიონის, არამედ რეგიონის ისტორიას.

დაწყებული რედაქტორ-დირექტორებიდან რიგით მუშაკამდე ყველა ცხოვრობდა და საქმიანობდა როგორც ერთი ოჯახის წევრი, ურთიერთპატივისცემითა და ერთსულოვნებით. რთულ, შრომატევად, მაგრამ სასიამოვნო ატმოსფეროში. ცხადია, იყო ხმის აწევაც, გარჩევა-კამათიც, მაგრამ ურთიერთობები არასოდეს გაცდენია ზომიერების საზღვრებს. არ გადაზრდილა უხეშობაში, გაუტანლობასა და ღვარძლში. ჭირიც და ლხინიც გაუყოფელი ჰქონდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

როგორ შეიძლება 90 წლის გაზეთზე ვსაუბრობდეთ და არ გავიხსენოთ გაზეთის პირველი რედაქტორი გიორგი უბერი, შემდგომ დავით ვაჩაძე, სიმონ ლაშხი, ვენედიქტე ვაჩაძე, ვაჟა სოხაძე, ტრისტან ჯანხოთელი, როლანდი მიქაუტაძე, გივი ჭელიძე, იური კობახიძე, სტამბის დირექტორები ოთარი კიკვაძე, ვალერიან ხიდურელი, კარლო ბუაძე, ავთანდილ კუბლაშვილი, ზურიკო ენუქიძე, დადაში ონიანი, გია ყრუაშვილი... თანამშრომლებიდან ლეონიდე ტურძილაძე, ნოდარი შარაბიძე, ბიძინა ნემსიწვერიძე, გურამი ვაჩაძე, ოთარი ჯოხაძე, გალაქტიონ ჯინჭარაძე, კაპიტონ ლაშხი, კოტე ხიდაშელი, აფრასიონ ჭელიძე, ელგუჯა არჩვაძე, გურამ ჯაფარიძე, გიგა სხირტლაძე, გიგა ფანჯიკიძე, ანიკო დათეშიძე, გოგუცა თომაძე, ნანული დონაძე, ზინა ჭელიძე, დოდო და დარეჯან კობახიძეები, ცირა ბედენაშვილი, ეგნატე აბუთიძე, ჯემალი კანთელაძე, ვალერიან მურუსიძე, დები ნედული და ნაიკო ცირეკიძეები, მერი ინასარიძე, ჯემალი გონგაძე... რა ჩამოთვლით. რამდენი იყვნენ შეხუმრებულ-შეხმატკბილებულები დღეს მარადიულ სასუფეველში გადასახლებულნი.

რედაქციას შტატგარეშე კორესპოდენტების არმია ჰყავდა. სხვათაშორის მაშინ ჰონორარსაც იღებდნენ და საჭიროების შემთხვევაში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურებსაც.

შტატგარეშე კორესპოდენტები გაზეთს დღესაც ჰყავს, მაგრამ ჰონორარის გარეშე, ამისთვის მათ დიდი მადლობა, ხოლო გარდაცვლილთ საუკუნო ხსოვნა და ნათელი. გვაპატიოს მათმა სულებმა ისევ გაზეთის ფორმატის გამო ყველა რომ ვერ მოვიხსენიეთ.

შემოქმედებითი საღამო

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა ახლახანს მსმენელი კვლავ საინტერესო საღამოზე მიიწვია. სცენაზე იდგა კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკი – **მზია ფარულავა** თანამოაზრეების, კოლეგების, ერთგული მეგობრების გარემოცვაში. იგი ფაქტიურად 50 წლიანი ანგარიშით წარსდგა მაყურებელ-მსმენელის წინაშე როგორც ანსამბლ „ასკრონის“ მუსიკალური ხელმძღვანელი, საკავშირო და რესპუბლიკური თვითშემოქმედებითი ფესტივალების ლაურეატი და მედალოსანი, სიმონიკა სხირტლაძის სახელობის ორდენისა და საუკეთესო მუსიკის მასწავლებლის წოდების მატარებელი. ხელოვანი, რომელიც ამჟამადაც დაუღალავად, ენერგიულად ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას როგორც პედაგოგი. ამბროლაურის კულტურის სახლის საესტრადო ჯგუფის „თეატრონი“ ხელმძღვანელი და ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „იავნანა“ წევრი.

ღონისძიებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი – **ზვიად მხეიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე** მოწვეულ სტუმრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

საღამოს დასასრულს, ქალბატონ მზიას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

სპორტი



ჭიდაობა სპორტის ის სახეობაა, რომელიც ამბროლაურელ გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს კი კლუბის „ფალავანი“ აღზრდილთა დამსახურებაა, რომლებიც ახალახალი წარმატებებით გვანებივრებენ.

ამჯერადაც გავიხარეთ. ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში თავისუფალ ჭიდაობაში გამართული სარეიტინგო ტურნირიდან 79 კილოგრამით წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა **ვლადიმერ გამყრელიძე**. ვულოცავთ.

სოფლის ისტორიის სიძნელეთა



ყველა სოფელს თავისი დატვირთვა აქვს, გამორჩეულად მაინც მათ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ. ასეთთა რიცხვშია ღვიარა, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება XI საუკუნიდან ხან დაბად, ხანაც მცირე მთავრის სასახლედ. თუმცა სახელმწიფო არქივებში დაცული სიგელ-გურჯები, IX-X საუკუნეების სოჩბის წმინდა გიორგის, X საუკუნის ჯვარცმის და ჯგირეშის უნიკალური ფორმის ეკლესიების ნანგრევები გვაფიქრებინებს, რომ სოფელი უფრო ადრინდელი პერიოდისაა.

მართალია, გასული საუკუნის 60-იანი წლების მეწყრული მოვლენების გამო, დღეს სოფელი „ღვიარა ღელისა“ და ბოსტანის ტერიტორიაზე აგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ აქაურთ კავშირი ნასახლარებთან არ გაუწყვეტიათ. ისევ ისე სარგებლობენ ხეხილითაც, საძოვრებითაც და სათიბებითაც. და რაც მთავარია, უვლიან წინაპართა საფლავებს, ამაყობენ წარსულით და შესაბამისად არც ისტორიას ივიწყებენ. ამიტომ, თბილისში გამართულ დარახველიძეების გვარის შეკრებაზე, გადაწყდა ღვიარის ყველა გვარის სურვილის, წმინდა თევდორეს სახელობის XIX საუკუნის ეკლესიის აღდგენის, წლების წინ დაბადებული იდეის, ხორცშესხმა. ეკლესიის კედლები კვლავაც მყარად დგას, მაგრამ სერიოზული სამუშაოებია შესასრულებელი სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სპეციალისტების მიერ და საპატრიარქოსთან შეთანხმებით. დრო არ ითმენს (სახურავი წლებია შეძენილია). საგვარეულო ხატი დაწერილია. საკითხი შეთანხმებულია ეპარქიასთან და ანგარიშიც გახსნილია ბანკში.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს ბოსტანა-ღვიარაში მაცხოვრებელი გორგასლიძეები, დათუსანები, დარახველიძეები, ყიფიანები, სურგულაძეები, ჯოხაძეები, ჯანგიძეები, ჯინჭარაძეები, ფრუიძეები, ტომარაძეები და ყველა ის გვარი რომელთათვისაც ძვირფასია ღვიარის სალოცავები, თავის წილ აგურს დადებენ წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის აღდგენაში და ამ საშვილიშვილო საქმეში მათ გვერდით იქნებიან გაქალაქებული თანაკუთხელები. ცხადია, ვისაც როგორ და რით შეუძლია. მთავარია, იყოს სურვილი და წრფელი გულით შეწირული.

საბანკო რეკვიზიტებია: სს „საქართველოს ბანკი“,
ბანკის კოდი BAGAGE22, GE09BG0000000162165830
ქ. თბილისი 0160, გაგარინის ქ. N29 ა. დარახველიძე თეიმურაზი
ბანკომატით ჩარიცხვის შემთხვევაში დანიშნულებაში მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი.

„დრო სიყვარულმა გალია...“

ასე ერქვა საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში სადმელის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ლ. დარახველიძე) გამართულ ბოსტანის, ჩორჯოს და ზნაკვის (ბიბლიოთეკარები: ხ. ჯანელიძე, ი. ჯანგიძე, ნ. ბაკურაძე) ერთობლივ ღონისძიებას, რომლის საპატიო სტუმრები იყვნენ ქალბატონები: **იზოლდა დარახველიძე, ლამზირა მიქიაშვილი, თინათინ მახალდიანი** და **შორენა ჯოხაძე.** ღირსეულ ქალბატონებს აღნიშნულ სოფლებში და საერთოდ მუნიციპალიტეტში რა გამოგვილევს, მაგრამ ოთხეული სხვადასხვა კრიტერიუმით იქნენ შერჩეულნი. განსხვავებული პროფესის მქონე და პროფილით მომუშავე ამ ქალბატონებს აერთიანებთ ყველასათვის სავალდებულო თვისებები: დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომა, სახელმწიფოებრივად აზროვნება და წიგნის, ლიტერატურის სიყვარული. რასაც მათივე ბიოგრაფია ამტკიცებს.

ქალბატონმა იზოლდამ ფიზიკური შრომით, რიგითი კოლმერნიდან დაიწყო ბიოგრაფიის წერა. შემდგომ წლებში იყო კომკავშირის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საერთო განყოფილების უფროსი, პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საყოფაცხოვრებო სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი და ობუსმენდში განყოფილების ხელმძღვანელი. ქალბატონი ლამზირა მიქიაშვილი ათეული წლები ემსახურა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის საქმეს როგორც საბავშვო ბაღის გამგე და მეთოდისტი. განათლების სფეროში აღიარებული თავისი კრეატიული აზროვნებითა და ნოვატორული იდეებით. ქალბატონი თინათინი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც თავის ფიქრებს, განცდებს კალამს ანდობს, როგორც დედა, დიასახლისი, ოჯახის დედაბოძი და მეზობელი. მის პოეზიას მსმენელიც ჰყავს და დამფასებელიც. მან ღონისძიების მონაწილეებს საკუთარი და ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის ლექსების კრებულები უსახსოვრათ. ქალბატონი შორენა გარდა იმისა რომ ათეული წლები ემსახურა ამბროლაურის პირველ საშუალო და თბილისის 54-ე საჯარო სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს გამორჩეულია იმითაც, რომ არ მოშალა მამაპაპისეული ფუძე, 8-სულიანი ოჯახით დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ამით მაგალითი მისცა ბევრ გაქალაქებულ თანაკუთხელს და ამავდროულად კიდევ უფრო უკვდავყო ძმის – ომარ ჯოხაძის სახელი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ფასად იხსნა ბავშვი და მეგობარი სიკვდილისაგან და რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან რჩება ჯარისკაცის გმირობის მაგალითად. ამიტომ ამ საინტერესო ღონისძიებას რომლის მსვლელობისას დრო მართლა სიყვარულში გაილია, დოკუმენტური ფილმის „ომარ ჯოხაძე“ ყურებას ცრემლიც ახლდა.

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მოწვეულ ქალბატონებს და ღონისძიების ავტორებს. ამავდროულად მსგავსი შეხვედრების ხშირად გამართვის სურვილი გამოთქვა და იმისაც, რომ სასურველია მუნიციპალიტეტში ომარ ჯოხაძის სახელდების რაიმე არსებობდეს.

ქ. ჯოხაძე

გემრიელი გაზეთი

გაზეთი შეიძლება წაიკითხო, შეიძლება მასში სხვადასხვა საგანი გაახვიო, მისგან გააკეთო პაკეტები, სათამაშო გემები, კედელზე გააკრა შპალერის ქვეშ, მაგრამ...

პერიოდული ბეჭდვის მსოფლიო ისტორიაში ცნობილია გაზეთი, რომელიც იკითხებოდა და იჭმეოდა კიდეც. ეს იყო სახუმარო გაზეთი, რომელიც გამოდიოდა საფრანგეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში და ერქვა „რეგალ კოტიდენი“.

იგი იბეჭდებოდა თაფლაკვერზე.

გიწვევთ საცურაო აუზი

ამბროლაურის საცურაო აუზი, განახლებული სივრცით, კვლავ მოქალაქეთა სამსახურშია, რომელთა მიღება 7 ივნისიდან დაიწყო აღსანიშნავია, რომ სერიოზული შეღავათებით შეუძლიათ ისარგებლონ მოსწავლეებმა. მათთვის 8 ვიზიტი ეღირება – 20 ლარი;

1 ივლისიდან, სწავლის დაწყებამდე, შეღავათები არ იმოქმედებს და აუზით სარგებლობა შესაძლებელი იქნება 6 და 8 ვიზიტიანი აბონემენტებით. 6 ვიზიტიანის ღირებულებაა – 50 ლარი, 8 ვიზიტიანის – 60 ლარი. ვიზიტის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს. ერთჯერადი ვიზიტის ღირებულება კი – 15 ლარია.

დღის განმავლობაში ვიზიტის საათებია: 10 საათი და 30 წუთი; 12 საათი; 13 საათი და 30 წუთი; 15 საათი; 16 საათი და 30 წუთი; 18 საათი და 30 წუთი.

დასვენების დღეებია შაბათ-კვირა, დანარჩენ დღეებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ დილის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე. აქვე გაცნობებთ, რომ 6 წლამდე ასაკის ბავშვები აუზზე არ დაიშვებიან.

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართია:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ჯიღაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.